მანანა სანაძე

ქართველთა ცხოვრება

წიგნი III

ქართლის მეფეებისა და პატრიკიოსების ქრონოლოგია

(ფარნავაზიდან აშოტ კურაპალატამდე)

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი

2016

მეცნიერ-რედაქტორები: გიული ალასანია, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო და საქართველოს უნივერსიტეტების პროფესორი;

გონელი არახამია, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი.

რეცენზენტები: თამარ ქორიძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი;

ბეჟან ხორავა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი.

ტექნიკური რედაქტორი: ნინო ბარნოვი;

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ჯულიეტა ანდღულაძე

მხატვარი: კონსტანტინე თოფურია

ISBN 978-999-50-34-5

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა © 2016

ვუძღვნი ჩემი მშობლების — ნელი და ვლადიმერ სანაძეების და ჩემი უდროოდ გარდაცვლილი ძმის, გურამ სანაძის ნათელ ხსოვნას.

წინამდებარე ნაშრომი - “ქართველთა ცხოვრება” წიგნი III პირველია “ქართველთა ცხოვრების” იმ მრავალწიგნიანი სერიიდან, რომლის გამოცემას საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობასთან ერთად გეგმავენ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: მანანა სანაძე და გონელი არახამია. გამოცემის ფარგლებში განსაზღვრული და მომზადებულია შემდეგი წიგნები: წიგნი I - შესავალი “ქართველთა ცხოვრებაში”, წიგნი II - “ქართველთა ცხოვრება”, რაც “დავით აღმაშენებლის ცხოვრების” ჩათვლით, “ქართველთა ცხოვრების” ტექსტის ახალი პრინციპით გამოცემას გულისხმობს; წიგნი IV - კომენტარები, წიგნი V - “ქართველთა ცხოვრება” და ქართული ეკლესიის ისტორია.

ვინაიდან ამ სერიიდან წიგნი III რიგით პირველი იბეჭდება, გამოცემის მიზნებთან მკითხველის უკეთ გაცნობისათვის განკუთვნილი ეს მოკლე ანოტაციაც მას წავუმძღვარეთ.

რედაქტორებისაგან

გიული ალასანია

მკითხველის წინაშე წარმოდგენილი წიგნი: "ქართლის მეფეებისა და პატრიკიოსების ქრონოლოგია - ფარნავაზიდან აშოტ კურაპალატამდე" საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ შედარებით ბუნდოვან, თუმცა ძალზე მნიშვნელოვან პერიოდს ეხება. აღნიშნული ხანის კვლევის სირთულე ძირითადად შესაბამისი წერილობითი ძეგლების, განსაკუთრებით, თანადროული წყაროების ნაკლებობით არის განპირობებული. ამასთანავე, შემორჩენილი წყაროები ქრონოლოგიური მასალის სიმცირით, ამბების არათანმიმდევრულად გადმოცემით, ჩვენამდე გვიანი გადამწერების ჩანართებით, შესწორებებით და რედაქტირებით მოღწეული, ხშირად არცთუ სანდო საყრდენია რაიმე დაზუსტებული სურათის აღსადგენად. ყოველივე ამის გამო ძველი ქართული წერილობითი წყაროებისადმი ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი ხნის მანძილზე გაბატონებულმა ჰიპერკრიტიკულმა დამოკიდებულებამ ბევრ მკვლევარს საერთოდ უარი ათქმევინა მათ გამოყენებაზე, რამაც, თავის მხრივ, ერთგვარად შეაფერხა ძველი და ადრე შუა საუკუნეების ისტორიის წარმატებული კვლევა, მიუხედავად იმისა, რომ ამის ცდები როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში არაერთი იყო.

ნაშრომი ისეთ პერიოდს ეხება, სადაც, თუ არ ჩავთვლით არქეოლოგიურ მასალას, ნაკლებად არის მოსალოდნელი ახალი წყაროების აღმოჩენის და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანის შესაძლებლობა. ამდენად, როგორც მოსალოდნელი იყო, არც ეს გამოკვლევა გვთავაზობს სიახლეებს ამ თვალსაზრისით. მიუხედავად ამისა, ის სავსეა სიახლეებით, მიგნებებით, მაგრამ დღემდე გამოთქმული მოსაზრებებისაგან განსხვავებული შეხედულების შემუშავება აქ ძირითადად წყაროს ახლებულ წაკითხვას ემყარება. ეს კი, თავის მხრივ, ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა ენაზე შემორჩენილი წყაროების მონაცემებზე დაყრდნობით, დამაჯერებლად არის დასაბუთებული და მათი დიდი ნაწილი, იმედია, მისაღები იქნება და დაიმკვიდრებს ადგილს მომავალ შესაბამის გამოკვლევებსა და სახელმძღვანელოებში.

ნაშრომის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი სწორედ დიდი ხნის მანძილზე სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული ტრადიციების მსხვრევაა, რისთვისაც მის ავტორს დიდი სამუშაოს ჩატარება მოუხდა.

მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორია, ქართველ მეფეთა თანმიმდევრობის, მათი პოლიტიკის შესწავლა, შესაბამისი ქრონოლოგიის დადგენა საინტერესოა არა მარტო საქართველოს, არამედ რეგიონის ისტორიისათვის. სწორედ იმის გამო, რომ გზის საყარზე მდებარე საქართველო უძველესი დროიდან აქტიურ საგარეო პოლიტიკას ატარებდა, მის შესახებ საყურადღებო ცნობები შემოგვინახეს ასურულმა, ურარტულმა, ბერძნულმა, ლათინურმა, სომხურმა, სპარსულმა, სირიულმა, არაბულმა წყაროებმა. ნაშრომში წარმოდგენილია საქართველო ქრისტიანობამდე და ქრისტიანობის მიღების შემდეგ; საქართველო მეფობის ინსტიტუტის შემოღებამდე, მეფობის პერიოდში და ერისმთავრობის ხანაში. ქართულ ისტორიოგრაფიაში უცხოური წყაროებისადმი დამკვიდრებული გადაჭარბებული ნდობის საპირისპიროდ ნაშრომის ავტორისათვის ძირითადი საყრდენია ქართული ქრონიკების კრებულები, რომელთაგან ძირითადს ის უცვლის ტრადიციულ სათაურს - "ქართლის ცხოვრება" - და "ქართველთა ცხოვრებას" უწოდებს.

ჩვენამდე მოღწეული წყაროები სხვადასხვა დროს იქმნებოდა და სხვადასხვა დროს გადიოდა რედაქტირებას პოლიტიკური კონიუნქტურის შესაბამისად. დღეს ცნობილმა ვერსიებმა სხვადასხვა დროის ფენები შემოგვინახეს და დროში მათი ზუსტი ლოკალიზება, ერთი მხრივ, წყაროს დათარიღების, ხოლო, მეორე მხრივ, მოვლენების დაზუსტების შესაძლებლობას იძლევა.

მთელი ნაშრომის მანძილზე ავტორი ცდილობს მოახდინოს ქართული წყაროების რეაბილიტაცია და მითოლოგიური შრის ჩამოცილებით მათში რეალური პლასტი გამოავლინოს. გამოკვლევაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა წყაროთა ანალიზს, დადგენილია თითოეული ცნობის სანდოობა, დაზუსტებულია ქრონოლოგია, ტერმინოლოგია, რისთვისაც გამოყენებულია არა მარტო ბიბლია, ბერძნულ-რომაული, სომხური, არაბული, სპარსული წყაროები, არამედ გვიანი საუკუნეების ქართული წერილობითი ძეგლებიც, სადაც, ადრეული წყაროებისაგან განსხვავებით, აღდგენილია თარიღები სხვადასხვა მასალაზე დაყრდნობით.

ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ქართველების ეთნოგენეზს, გაედევნება თვალი საქართველოს ტერიტორიაზე საკვლევ პერიოდში მიგრაციულ ტალღებს, კიმერიულ-სკვითური ნაკადის შემოჭრას კავკასიაში სხვადასხვა დროს, მათი განსახლების არეალს და მონაწილეობას ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პროცესში. დამაჯერებლად არის ნაჩვენები, თუ რა გზა განვლო "ქართველთა ცხოვრებაში" შემონახულმა კავკასიის ხალხთა გენეალოგიურმა სქემამ, ნაჩვენებია, თუ როგორ მოხდა აქ სომხური და ქართული გენეალოგიური სქემების შერწყმა, შეთავაზებულია შეერთებამდე არსებული ტექსტის რეკონსტრუქცია, დეტალურად არის მიმოხილული კავკასიის რუკა. ცნობათა დეტალური ანალიზით ავტორი გზადაგზა ადგენს წყაროს შექმნის თარიღს. ქრონიკის ძველი ნაწილის ყოველმხრივ ანალიზს, ქართლოსისა და მისი ექვსი ძმის წარმომავლობის და მათი განსახლების "ქართველთა ცხოვრებისეული" ვერსიის, ისტორიული გეოგრაფიის მონაცემების, გეოპოლიტიკური სურათის გათვალისწინებას ის მიჰყავს მე-8 საუკუნის I ნახევართან და თხზულებაც, მისი აზრით, იმ დროს უნდა იყოს შედგენილი, ცხადია, წინამორბედების ნაშრომებზე დაყრდნობით. მკვლევრის დასაბუთებით, "ქართველთა ცხოვრების" მნიშვნელოვანი მონაკვეთის მემატიანე ჯუანშერ ჯუანშერიანი მე-6 საუკუნის შუა წლებისა და მეორე ნახევრის მოღვაწეა.

გამოკვლევაში ნაცვლად მანამდე ლიტერატურაში დამკვიდრებული ცენტრალური აზიისა - მდ. ამუდარიის მახლობლად, კიროსის და სკვითების ბრძოლა (ძვ. წ. 530 წ.) და კიროსის დაღუპვის ადგილად მითითებულია სამხრეთ კავკასია, მდ. არაქსის ჩრდილოეთით და ეს მოსაზრება დამაჯერებლად არის დასაბუთებული.

ნაშრომში არ არის გაზიარებული უკანასკნელ ხანებში ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებები ქართულ წყაროში მოხსენიებული ალექსანდრე მაკედონელის საქართველოში ლაშქრობის რეალობის შესახებ და იგი სპარსეთის შაჰ დარიოს I-თან არის გაიგივებული. წიგნის ავტორი იარედის ძე აზოს აქემენიან უფლისწულად მიიჩნევს და შესაძლებლად მიიჩნევს მის სპარსეთის მიერ ქართლში გამოგზავნილ ერისთავ (სატრაპ) არდამთან გაიგივებას, რომლის საქართველოში მოსვლასა და დამკვიდრებას 460-იანი წლებით ათარიღებს. მისი აზრით, ამას არდამ-აზოიანების 130 წლიანი მმართველობა მოჰყვა. ნაშრომში გაშუქებულია და დაზუსტებული აქემენიანებთან ურთიერთობის ეტაპები და დადგენილია შესაბამისი ქრონოლოგია.

დეტალურად ჩერდება ავტორი ქართლის წარმართ მეფეებზე, ეხება მათ სახელებს, ადგენს მათ სწორ ფორმებს, ეტიმოლოგიას, პირთა წარმომავლობას, დაბადების და გარდაცვალების დროს, ტახტზე ასვლის ასაკს, მართვის წლებს, სხვადასხვა მნიშვნელოვანი ფაქტების და მოვლენების თარიღებს, რაც საკმაოდ რთულია იმის გამოც, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ყველა ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა. ჭეშმარიტების დასადგენად მას კიდევ ერთხელ უხდება წყაროების განსხვავებულად წაკითხვა და ინტერპრეტაცია, არაერთ მკვლევართან შეკამათება. ამ მხრივ მისთვის არ არსებობს ავტორიტეტი, წყაროების მონაცემების შედარებით კრიტიკულ ანალიზზე დამყარებული მეცნიერული არგუმენტის გარდა.

აქვე ავტორი აშუქებს ქართლის ურთიერთობებს მეზობელ ქვეყნებთან, სელევკიანებთან, სომხებთან, ალბანელებთან. ყოველივე ამისათვის, ქართულის გარდა, გამოყენებულია ბერძნულ-რომაული, სომხური წყაროები. ეს მონაკვეთი სავსეა საინტერესო მიგნებებით, რომელთა ნაწილი, მათი სირთულის გამო, ალბათ მომავალშიც იქნება კამათის საგანი, თუმცა არაერთი გონებამახვილური დაკვირვება, რომელთა ნაწილი ადრეც იქნა წარმოდგენილი ავტორის სხვა ნაშრომებში, უკვე მიღებული და გაზიარებულია სამეცნიერო ლიტერატურაში. ნაშრომში გაედევნება თვალი საქართველოს ტერიტორიის როგორც ინტეგრაციის, ასევე დეზინტეგრაციის პროცესს, რომელიც მსოფლიო ისტორიის პროცესების ფონზე და მასთან კავშირში განიხილება.

ფართოდ მსჯელობს ავტორი ორმეფობის მიზეზებზე ქართლში, ქართლის ორ ნაწილად გაყოფა-გაერთიანების ქრონოლოგიაზე, რაც რეგიონის ისტორიის დეტალურად გადმოცემის ფონზეა წარმოდგენილი. მკვლევარი ჩერდება ტერმინ "გუგარქზე". სხვა მკვლევრებისაგან განსხვავებით, რომლებიც ამ ტერმინს ბიბლიურ "გოგ"-თან აკავშირებენ, მას ის ირანული "გორგან"// გურგენ"-იდან გამოჰყავს, ამასთანავე მიიჩნევს, რომ ის ყოველთვის ერთსა და იმავე ტერიტორიას არ მოიცავდა და ადგენს სხვადასხვა დროს ამ ერთეულის ტერიტორიულ საზღვრებს. ავტორი მსჯელობს ტერმინებზე "ამიერ" და "იმიერ", ავლენს წყაროების არაზუსტი წაკითხვის არაერთ შემთხვევას, რაც, თავის მხრივ, ხშირად სხვა უზუსტობის დამკვიდრების მიზეზი გამხდარა ისტორიოგრაფიაში.

გამოკვლევაში დიდი ადგილი ეთმობა ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს და სხვადასხვა დროის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული საზღვრების დადგენას. ავტორი გაადევნებს თვალს ქართველ-სომეხთა ომებს და ზავების პირობებს, ოვსებთან ომებს. ყურადღებას იქცევს დაკვირვება ბივრიტიანებზე, რომელთა წარმომადგენელი, არტაშეს II-ის მხედართმთავარი, ბაგრატუნების წინაპრად მიაჩნია.

წიგნში ისტორია და წყაროთმცოდნეობა ერთნაირი მოცულობითაა წარმოდგენილი. ავტორი არცერთი წუთით არ ადუნებს ყურადღებას წყაროების მიმართ, რომელთა ცნობებს არასდროს ენდობა ბრმად და მხოლოდ ყოველმხრივი კრიტიკული ანალიზის შემდეგ იყენებს. წიგნში დიდი ადგილი ეთმობა ტექსტოლოგიურ ანალიზს. ადარებს რა "ქართველთა ცხოვრებას" და ე. წ. "მოქცევაი ქართლისას", მიიჩნევს, რომ პირველის ავტორის, ჯუანშერისათვის, არ წარმოადგენს წყაროს ჩვენთვის დღეს "მოქცევაიდ" ცნობილი ძეგლი, რომ ეს უფრო პირიქით არის. აქცევს რა ყურადღებას ქართული ქრონიკის ჩვენებას, რომ წარმართ მეფეთა სია 28 მეფისაგან შედგებოდა, თუმცა "მოქცევაის" შემდგენელს 32 გამოუვიდა, ავტორი აქვე ავლენს იმ ფაქტს, რომ მეფეთა რიგი წყაროში ზოგიერთ შემთხვევაში გაორმაგებულია, თუმცა, ამასთანავე ზოგიერთი მეფე გამოტოვებულია საერთო სიიდან. ექცევა ყურადღება იმას, რომ "ქართველთა ცხოვრების" ჩვენამდე მოღწეულ ვერსიაში მირიანის მამა რევი საერთოდ ამოვარდნილია; აქვე ავტორი არ იზიარებს ვარაზ-ბაკურის და ასპაგურის იგივეობას, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში თითქმის საყოველთაოდ გაზიარებულია.

აღსანიშნავია, რომ ავტორის ტექსტოლოგიური დაკვირვებები არ იფარგლება მხოლოდ ქართული წყაროებით და სომხურ წყაროებსაც მოიცავს; ნაშრომს ორსავე შემთხვევაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ბუნდოვანი ადგილების გამართვის საქმეში.

მკვლევარი დეტალურად შეისწავლის ქართლის ტახტზე ასული პირველი სასანიანი მეფის, რევისა და მისი უახლოესი მემკვიდრეების მმართველობას, სახელებს, მათ ეტიმოლოგიას, იძლევა სრულიად ახლებურ ქრონოლოგიას, ეხება მათი მეუღლეების და შვილების საკითხს. მაგალითად, მისი აზრით, ქართლის მეფე მირიანი//მირდატი ხაზარებთან იმავე ჰუნებთან ბრძოლაში (336) დაიღუპა, ხოლო 362 წელს მოხსენიებული მირიანი მისი შვილიშვილი იყო. ქართლის ისტორია, რევიანების და ბაკურიანების მონაცვლეობა ტახტზე და

ამის მიზეზები, ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან (ალბანეთი, სომხეთი) სპარსეთ-რომის ომების და ზოგადად რეგიონის ისტორიის ფონზეა წარმოდგენილი.

ავტორი ადევნებს თვალს ქართლის სასანიანებზე დამოკიდებულების გაღრმავებას, ჩერდება მე-5 ს-ის შუა წლებში სამხრეთ კავკასიის აჯანყებაზე სასანიანთა წინააღმდეგ, რომელშიც ქართლის მონაწილეობას ასაბუთებს.

მეფეთა რიგში ზოგიერთს, ბუნებრივია, მეტი ადგილი უჭირავს. ასეთია, მაგალითად, ვახტანგ გორგასლის მეფობა, რომლის წლებიც ნაშრომში სრულიად განსხვავებული ქრონოლოგიით არის წარმოდგენილი. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენამდე მოაღწია ვახტანგ გორგასლისადმი მიძღვნილმა საკმაოდ ფართო მოცულობის საგანგებო მატიანემ, მისი ერთგვარი მითოლოგიზებული ფორმის და მასში თარიღების არარსებობის გამო, ქართული ადრე შუა საუკუნეების ამ გამორჩეული მეფის შესახებ თითქმის ყველა გადმოცემა, ისევე როგორც შესაბამისი მატიანის სანდოობის საკითხი დღემდე საკამათო რჩება. შესაბამისი წყაროს ერთგვარ რეაბილიტაციას შეეცადა ვ. გოილაძე, თუმცა წინამდებარე გამოკვლევა წინამორბედი მკვლევრებისაგან განსხვავებით მკითხველს ბევრ სიახლეს და სრულიად განსხვავებულ ქრონოლოგიას სთავაზობს. კ. თუმანოვის ერთგვარი გავლენით, თუმცა მისგან განსხვავებით, რომელმაც ვახტანგი სპარსეთის წინააღმდეგ 523 წლის აჯანყების ლიდერთან, გურგენთან გააიგივა და მისი გარდაცვალება ამავე თარიღთან ახლო ივარაუდა, მ. სანაძე არ იზიარებს ვახტანგის და გურგენის იგივეობას, გორგასლის გარდაცვალებას 531 წლით ათარიღებს და ქართულ ქრონიკაზე დაყრდნობით მნიშვნელოვნად ცვლის მისი მეფობის სურათს, აღადგენს მოვლენათა თანმიმდევრობას, ადგენს გეოგრაფიული დასახელებების იდენტიფიკაციას, ეხება ვახტანგის და მთავარეპისკოპოსი მიქაელის კონფლიქტის მიზეზებს, რასაც უკანასკნელის ძალაუფლებისაკენ სწრაფვით ხსნის. თარიღების გვიან გადმოტანის ერთ-ერთი საფუძველი მისთვის გახდა ვახტანგის შვილების იდენტიფიკაცია "დავით და კონსტანტინეს წამებაში" მოხსენიებულ მირსა და არჩილთან, რომლებიც, მისი აზრით, 540-562 წწ. სპარსეთ-ბიზანტიის ომის დროს იყვნენ, არგვეთის ერისთავების მოწამეობრივ აღსასრულსაც არა მარვან იბნ მუჰამადს, არამედ სპარსეთის შაჰის 545 წლის შემოსევას უკავშირებს. ავტორის დასაბუთებით, მთელი ეს სიუჟეტი მოგვიანო ავტორმა შეცდომით მე-8 ს-ში მურვან ყრუს (მარვან იბნ მუჰამადის) წლებში გადაიტანა.

აქვე ყურადღება ექცევა მთავარეპისკოპოსებს, მათ რელიგიურ ორიენტაციას და წარმომავლობას, კათალიკოსების სიას, კვლავ ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს. ყველა ფაქტი კვლავ სპარსეთ-ბიზანტიის ომებისა და ზავების პირობების განხილვის ფონზეა წარმოდგენილი. ავტორი დაწვრილებით ჩერდება ქართლში მეფობის გაუქმების საკითხზე, რისთვისაც წყაროების გარდა ახდენს სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკულ ანალიზს. მისი აზრით, ეს არ იყო მარტივი და ერთჯერადი აქტი. მთელი მე-6 საუკუნის მანძილზე მიმდინარეობდა სპარსეთ-ბიზანტიის ომები და იდებოდა ზავები, რომლებიც, მისი აზრით, ქართლში მეფობის ინსტიტუტის გაუქმებასაც ითვალისწინებდა. აქ ყურადღებით არის შესწავლილი ამ მოვლენის ეტაპები. აქვე ყურადღება გამახვილებულია მეფეებსა და ერისმთავრებზეც. ავტორი არ იზიარებს გურგენის და გუარამის იგივეობას, ისევე, როგორც გუარამის კურაპალატობას, რაც, მისი ვარაუდით, გვიან არსებული ვითარების გავლენით გაჩენილი ინფორმაციაა, თუმცა ფიქრობს, რომ ეს გამგებლები ერთდროულად იყვნენ - ერთი მცხეთაში ბიზანტიის მხარდაჭერით და მეორე (გურგენი) თბილისში სპარსეთის მიერ მხარდაჭერილი, თუმცა სპარსეთის წინააღმდეგ აჯანყებაში ერთად მონაწილეობდნენ, ჯუანშერს კი გურგენის შემდეგ, თბილისში სტეფანოზის დამკვიდრებამდე უნდა ემმართველა.

ბაგრატიონების წარმოშობას ავტორი ნაშრომის სხვადასხვა მონაკვეთში უბრუნდება; ეხება ინფორმაციას ბაგადატების ფარნავაზიდან მომდინარეობის შესახებ, რასაც ამ საგვარეულოს იგივე აჰურამაზდადან მომდინარეობის იგივეობრივ ინფორმაციად მიიჩნევს და ამ საგვარეულოს აქემენიანთაგან მომდინარეობით ხსნის; გამოთქმულია ვარაუდი ვახტანგ

გორგასლის დროს ბივრიტიანი სეფეწულისათვის ომრხის ერისთავის პატივის მინიჭების შესახებ, განხილულია ცნობები ბაგადატთა ებრაელობასა და დავით წინასწარმეტყველისაგან წარმოშობაზე. ამასთანავე ნაჩვენებია, რომ მე-6 ს-ის გუარამით იწყება ქართლის ბივრიტიან-ბაგადატების ახალი მმართველი დინასტია, რომელიც მე-15 ს-დან უკვე ცნობილია როგორც ბაგრატიონი, თუმცა ქართლში დამკვიდრებული პირველი ბაგრატიონი ის კი არა, მისი პაპა, ვახტანგ გორგასლის თანამებრძოლი იყო. მირდატის დის ამ საგვარეულობის წარმომად-გენელთან დაქორწინებამ განაპირობა მისი შვილის, გუარამის ბაგრატიონობა, რომელიც, მისი აზრით, არ იყო კურაპალატი. იგივე ხდება უკვე მისი შვილის, სტეფანოზ I-ის ასულის, ადარნასეს დის ლატავრის შემთხვევაშიც, რომლის მეუღლე ხდება "ბრმად" წოდებული ადარნასე. მათი შთამომავალია მრავალი წლის შემდგომ ქართლის კურაპალატი აშოტ ბაგრატუნი (დაიღუპა 829/30 წელს).

წიგნში გამოთქმული მოსაზრებით, ქართლში ნერსე I-ის ერისმთავრობაში ტარონიდან შემოდის ბაგრატუნთა ახალი ნაკადი. ახალმოსულები ნერსეს დახმარებით ამარცხებენ ჰერეთში სპარსთა "ერისთავს" (პიტიახშს) ვეზანს და იპყრობენ ჰერეთს (660-685 წლებში). სწორედ ჰერეთში დამკვიდრებული ეს ბაგრატუნები ხდებიან ჰერეთის მთავრები, მოგვიანებით კი - მეფეები.

ნაშრომში მსჯელობაა ნერსიანებსა და ადარნერსიანებზე, სადაც პირველ შემთხვევაში ავტორი მათ ბაკურიანების განაყოფებად მიიჩნევს, ხოლო მეორეებს გუარამ-სტეფანოზ ბივრიტიანების განაყოფად ქალის (ლატავრის) ხაზით. დასკვნით თავში არის მსჯელობა ბაკურიანებსა და ფეროზიანებზე. აქ საუბარია იმაზე, თუ როგორ უწევდნენ ქართლის პიტიახშები ფეროზიანთა საგვარეულოდან მე-5 ს-ის მეორე ნახევრიდან მე-8 ს-ის დასაწყისამდე პერიოდულად კონკურენციას ქართლის სასანიანთა სამეფო საგვარეულოს. ავტორი სათითაოდ ჩერდება საგვარეულოს წარმომადგენლებზე, ცდილობს დაასაბუთოს მათი საგვარეულოსადმი კუთვნილება. ამ გზაზე მას ყველა წყაროს, მათ შორის წარწერების, ხელახალი წაკითხვა და კრიტიკული ანალიზი მოუხდა. მკვლევარი, როგორც სხვა შემთხვევებში, უთითებს წყაროების ხარვეზებზე და წყაროთა მონაცემების საფუძველზე აღადგენს გამგებელთა თანმიმდევრობას. მნიშვნელოვანია ავტორის დაკვირვება არაბებთან ურთიერთობებზე სხვადასხვა წლებში. დეტალური მსჯელობაა მარვან იბნ მუჰამადის მონაწილეობაზე დასავლეთ საქართველოში ლაშქრობებში, რაზედაც ავტორს უარყოფითი პასუხი აქვს. დამაჯერებელია "ქართველთა ცხოვრებაში" მოხსენიებულ ლეონ ერისთავის ლეონ ისავრიელთან, ასევე მარინეს სტეფანოზ III-ის ვაჟთან, არჩილის ძმასთან, მირთან იდენტიფიკაცია, ამავე წყაროს "სობღის ციხის" თეოფანეს "რკინის ციხესთან" გაიგივება.

ავტორს თავისი გამოკვლევა ერისმთავრობის ინსტიტუტის საბოლოო გაუქმებამდე მიჰყავს, რაც რამდენიმე ეტაპად მოხდა. ნაშრომში განხილულია ხაზარების, ბიზანტიელების, არაბების და ქართველების ურთიერთობა მე-8 ს-ის მანძილზე.

წარმოდგენილი წიგნი ბევრი საკამათო საკითხის ახლებურ გააზრებას გვთავაზობს, რის გამოც მისი გამოქვეყნება, ვფიქრობ, კარგ სამსახურს გაუწევს ანტიკური ხანის და ადრე შუა საუკუნეების კავკასიის და ახლო აღმოსავლეთის ისტორიით დაინტერესებულ მკვლევარსა და მკითხველს.

გონელი არახამია

მ. სანაძის წინამდებარე მონოგრაფია: ქართლის მეფეებისა და პატრიკიოსების ქრონოლოგია - ფარნავაზიდან აშოტ კურაპალატამდე ეძღვნება საქართველოს ისტორიის ერთ -ერთ მნიშვნელოვან პრობლემას - ძველი და ადრეული შუა საუკუნეების ქართლის მეფეთა და ერისმთავართა ქრონოლოგიასა და გენეალოგიას. პრობლემა ისეთივე ძველია, როგორიც ქართული წერილობითი კულტურა - ის თანაბრად აწუხებდა როგორც ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების ქართველ მემატიანეებს, ისე მეცნიერული ისტორიოგრაფიის მრავალ წარმომადგენელს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ.

შესაბამისად, აღნიშნული პრობლემის გარშემო დღეისათვის მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობა - მრავალი გამოკვლევა (მონოგრაფია თუ სტატია) და ერთმანეთისაგან განსხვავებული, ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავი კონცეფცია დაგროვდა.

წინამორბედთა ნაშრომებისაგან მ. სანაძის მონოგრაფია გამოირჩევა კვლევის ახლებური მეთოდის მომარჯვებით. ავტორმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საკვლევი პრობლემის ძირითადი წერილობითი წყაროს, „ქართველთა ცხოვრების“ ტექსტის სტრუქტურის თავისებურებას, მისი შემდგენელი მემატიანეებისა და შემდგომი ხანის რედაქტორ-ინტერპოლატორების ნახელავის გამიჯვნას, ინფორმაციის გადამუშავების მათთვის დამახასიათებელ სპეციფიკას, რაც მდგომარეობს იმაში, რომ „ქართველთა ცხოვრების“ შემდგენელ-რედაქტორები ხშირად სხვადასხვა პირველწყაროდან მოპოვებულ, ნიუანსებით განსხვავებულ, მაგრამ ფაქტობრივად, ერთსა და იმავე მოვლენის შესახებ მომთხრობ ინფორმაციას სხვადასხვა და, შესაბამისად, დროში ერთმანეთისგან დაშორებული ფაქტების ამსახველ ცნობებად აღიქვამდნენ და მათ სხვადასხვა მეფის მოღვაწეობის აღწერაში ათავსებდნენ.

ამის გათვალისწინებას, მ. სანაძის აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საკვლევი პერიოდის ქართლის მეფეთა ქრონოლოგიის დადგენის დროს, რამდენადაც ამ საკითხის შესწავლის ძირითად წყაროში დომინირებს შეფარდებითი ქრონოლოგია. აღსანიშნავია, რომ წიგნის ავტორი ქრონოლოგიის ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხს განიხილავს ისტორიული რეალიების, მოცემული ისტორიული სიტუაციის გათვალისწინებით.

მართალია, მ. სანაძისთვის ძირითადი წერილობითი წყარო „ქართლის ცხოვრებაა“ (რაც სავსებით ბუნებრივია), მაგრამ კვლევის პროცესში ფართოდ შემოაქვს ბერძნული, ლათინური, სომხური, ირანული, არაბული წყაროების მონაცემები, როგორც საკონტროლო მასალა.

წიგნის ავტორი ახლებურად კითხულობს წინამორბედი მკვლევრებისათვის უკვე ცნობილ წყაროებს, კრიტიკულად განიხილავს სამეცნიერო ლიტერატურაში დაგროვილ შედეგებს, ითავისებს პოზიტიურ შედეგებს და მისი გათვალისწინებით წარმართავს კვლევას.

ნაშრომის გაცნობა მყარ საფუძველს იძლევა დასკვნისათვის, რომ ავტორმა მოგვცა დასმული პრობლემის განმაზოგადებელი, შემაჯამებელი გამოკვლევა, რომელიც შეიცავს მრავალ მეცნიერულ სიახლეს და დამაჯერებლად არგუმენტირებულ მოსაზრებას.

ავტორის წინასიტყვაობა

ბოლო თხუთმეტი-თექვსმეტი წელი ვმუშაობ „ქართველთა ცხოვრების“ საქართველოსა და კავკასიის ანტიკური და ადრე შუა საუკუნეების ისტორიისადმი მიძღვნილი მონაკვეთის ისტორიულ ინფორმაციებზე: მათი წყაროების დადგენა, მოთხრობილი ამბების რეალური შინაარსი და ქრონოლოგია, „ქართველთა ცხოვრებაში“ მათი შეტანის დრო და სხვა. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე ამ ინფორმაციებს ვაჯერებ ბერძნულ-რომაულ-ბიზანტიურ, სომხურ თუ სხვა წერილობით წყაროთა, მათ შორის, ეპიგრაფიკულ, ნუმიზმატიკურ წყაროთა მონაცემებთან. მსგავსების დადგენის შემთხვევაში ვიკვლევ ინფორმაციების წარმომავლობას - პირველწყაროს, მოთხრობილი ამბების ქრონოლოგიასა და შინაარსს. ასეთი კვლევის შედეგად „ქართველთა ცხოვრების“ არა ერთი ინფორმაცია, რომელიც აქამდე მკვლევრებს მითი თუ მონაგონი ეგონათ, აღმოჩნდა სრულიად რეალური შინაარსის მატარებელი და იქ მოთხრობილი ამბავი სრულიად კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში მომხდარი. მაგალითისათვის თუნდაც თარგამოსიანების სამხრეთ კავკასიაში დასახლების ამბავი შეიძლება მოვიყვანოთ, რომელიც ბიბლიურ საბურველში გახვეული მითოსის სახით გვეძლევა, მაგრამ, სინამდვილეში, მიდიის მეფე ყიაყსარის მიერ დევნილი სკვითური მომთაბარული მასივის კავკასიაში მოსვლაზე მოგვითხრობს. ამავე ამბის ისტორიულ-მითოსური ვერსიებია: „ქაიხოსროსაგან დევნილი თურქების“, „ნაბუქოდონოსორის მიერ წარტყვევნილი ჰურიების“ (“ქართველთა ცხოვრებით”) და „ქალდეველთაგან გამოსხმული ჰონების“ (“მოქცევაჲ ქართლისას” მიხედვით) ქართლში მოსვლა-დასახლების შესახებ თხრობა.

იგივე შეიძლება ითქვას თარგამოსიანების ნებროთთან (სომხური წყაროების ბელთან) ბრძოლისა და ნებროთის მოკვლის შესახებ თხრობაზეც, რომელიც აგრეთვე ბიბლიურ საბურველში გახვეული მითოსის სახით გვეძლევა, მაგრამ, სინამდვილეში, კიროსთან - პირველ აქემენიან მბრძანებელთან სამხრეთ კავკასიაში მოსახლე სკვითებისა და სამხრეთ კავკასიელი ხალხების ერთობლივ ბრძოლაზე, კიროსის ამ ბრძოლაში დამარცხებასა და ბრძოლის ველზე დაღუპვის შესახებ მოგვითხრობს.

ასევე საინტერესოა იმ ინფორმაციების კვლევის შედეგები, რომლებიც სპარსთა ლეგენდარულ მეფეს, აფრიდონს, მის ვაჟს იარედს, აფრიდონის მიერ ქართლში ერისთავად (მმართველად) გამოგზავნილ არდამს, ქართლის დამპყრობელს ე. წ. „ალექსანდრე მაკედონელს“ და ამ უკანასკნელის მიერ გამგებლად დაყენებულ აზოს ეხება. ამ საკითხების შესწავლამ აშკარა გახადა, რომ ლეგენდარულ-მითოსური ფორმით გადმოცემული ეს ამბები, სინამდვილეში, აქემენიანების ქართლში შემოსვლა-დამკვიდრებაზე მოგვითხრობენ, რასაც ადგილი ჰქონდა ძვ. წ. V საუკუნის I ნახევარში, აქემენიანი ხელმწიფეების ქსერქსე I-სა და მისი ვაჟის არტაქსერქსეს ხანაში.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის, მირიანის სასანიანობის შესახებ ინფორმაციის კვლევის შედეგები. ეს ამბავი ისტორიოგრაფიაში მირიანის განსადიდებლად მოგონილად მიაჩნდათ, სინამდვილეში კი დადგინდა, რომ მირიანი მართლაც სასანიანია. თუმცა პირველი სასანიანი გამგებელი ქართლში მირიანი კი არაა, როგორც ამას „ქართველთა ცხოვრება“ გვამცნობს, არამედ მისი მამა რევი, იგივე რევ მართალი, რომელიც იყო შაბურ I-ის შვილიშვილი და მისი უფროსი ვაჟის ჰორმიზდ-არდაშირის შვილი.

წარმოებული კვლევის მნიშვნელოვან მიღწევად უნდა მივიჩნიოთ გვიანანტიკური ხანისა და ადრე შუა საუკუნეების გასაყარზე მოღვაწე საქართველოს დიდი მეფის, ვახტანგ გორგასლის ზეობის ხანის მთელი 30 წლით გადმოთარიღება. კვლევის პროცესში აშკარა გახდა, რომ ვახტანგი 502 წელს კი არ გარდაცვლილა, როგორც ეს აქამდე ისტორიოგრაფიაში იყო მიჩნეული, არამედ 531 წ. ბუნებრივია, აქედან გამომდინარე გადათარიღდა არაერთი მოვლენა, თუ ისტორიული ფაქტი, მათ შორის, საქართველოში კათალიკოსობის შემოღების თარიღი.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ქართლის მმართველი პატრიკიოსების (ერისმთავრების) შესახებ დაცული ინფორმაციების კვლევა და ამ კვლევის შედეგები, რამაც შესაძლებლობა მომცა გამომეყო ქართლის სასანიანთა საგვარეულოს ძირითადი შტო (ბაკურიანები) და სხვადასხვა დროს წარმოქმნილი გვერდითი განშტოებები (ბივრიტიანები, რევიანები, ფეროზიანები), დამედგინა ქართლის საპატრიკიოსო ტახტზე ამ განშტოებების წარმომადგენ-ლების მონაცვლეობა და მათი მმართველობის ქრონოლოგია.

კვლევების ერთი ნაწილი გამოვაქვეყნე 2001 წელს მონოგრაფიაში: „ქართლის ცხოვრება და საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდი (ქართლოსიდან მირიანამდე)". წლების განმავლობაში გამოქვეყნდა მრავალი პუბლიკაცია სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში, ისევე როგორც, არაერთი მოხსენება იქნა წაკითხული შუა საუკუნეების ისტორიისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციებზე. ერთ-ერთი ასეთი კონფერენციის შემდეგ დაგვიკავშირდა ა. შ. შ.-ის ერთ-ერთი ცნობილი გამომცემლობა (Mellen press) და შემოგვთავაზა ჩვენი კვლევის შედეგების წიგნად გამოცემა. შემოთავაზების ხიბლი უდავო იყო - წლების განმავლობაში სხვადასხვა მონაკვეთებად გამოცემული კვლევის ერთ წიგნში თავმოყრა, ცხადია, საქართველოს, სამხრეთ კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ძველი ისტორიით დაინტერესებულ მკითხველს მასალის აღქმას ბევრად უფრო გაუიოლებდა. ჩვენც საშუალება გვეძლეოდა სხვადასხვა დროს გამოთქმული თვალსაზრისებისა და კვლევების ერთ წიგნად თავმოყრის და მეტი სიღრმითა და დამაჯერებლობით წარმოჩენისა. აი, ასე დაიბადა წინამდებარე ნაშრომი.

ახლა, როდესაც ვუყურებ გამოსაცემად გამზადებულ წიგნს, რომელმაც, შეიძლება ითქვას, ჩემი ცხოვრების სამი წელი „შთანთქა" (მანამდე დაწერილი წიგნების და სტატიების ერთად თავმოყრა, გადამუშავება-შევსება, საქართველოს ისტორიის აღნიშნული პერიოდის ჩემ მიერ ჯერ არგამოკვლეული მონაკვეთების შესწავლა და დაწერა; გარდა ამისა, წიგნის ინგლისურად გამოცემისათვის მომზადება: ინგლისურად თარგმნა, თარგმანის რედაქტირება და ა. შ.), უნდა ვაღიარო, რომ, ეს ნაშრომი არ შეიქმნებოდა, რომ არა გამომცემლობა Mellen-press-ი, რომელმაც მისი შექმნის იდეას ბიძგი მისცა.

წიგნზე მუშაობისას არაერთმა ადამიანმა გამიწია სხვადასხვა სახის დახმარება. მათი ამ დახმარების გარეშე წინამდებარე ნაშრომის შექმნა ბევრად უფრო გართულდებოდა და დროში გაიწელებოდა. უღრმეს მადლობას მოვახსენებ ყველას, ვინც ჩემი ნაშრომი გულდასმით წაიკითხა და თავისი ძვირფასი შენიშვნებისა თუ რჩევების მოცემა არ დაიზარა; აგრეთვე ყველას, ვინც სხვადასხვა სახის ტექნიკური დახმარება აღმომიჩინა:

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, გიული ალასანიას;

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორს და არაერთ სტატიაში ჩემს თანაავტორს და თანამოაზრეს, გ. არახამიას;

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორს, სამწუხაროდ, აწ გარდაცვლილ თამაზ ბერაძეს;

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორს, თამარ ქორიძეს;

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორს, ბეჟან ხორავას;

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, ირანოლოგს, საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორს, ალექსანდრე ჭულუხაძეს;

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, ანგლისტს, საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორს, მაია ჩხეიძეს;

საქართველოს უნივერსიტეტის ჰუმანიტარული სკოლის ენების ლაბორატორიის ხელმძღვანელს, ირინა ბაგაევას,

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორს, ნინო ბარნოვს;

საქართველოს უნივერსიტეტის ჰუმანიტარული სკოლის დოქტორანტს, თეა მეშველიშვილს;

საქართველოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს, ქეთევან ქიმერიძეს;

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობის ხელმძღვანელს, ჯულიეტა ანდღულაძეს;

საქართველოს უნივერსიტეტის ვიცე-კანცლერს, ზურაბ ცქირიას.

სარჩევი

შესავალი 17

ნაკვეთი I - "ქართველთა ცხოვრების" მეფობამდელი ისტორიები და მათი ქრონოლოგია …. 19

თავი I - ქართლში მოსული: "ქაიხოსროსაგან დევნილი თურქები", "ქალდეველთაგან გამოსხმული ჰონები" და "ნაბუქოდონოსორის მიერ წარტყვევნილი ჰურიები" 19

თავი II - ქართველთა, სომეხთა და სხვა კავკასიელ ხალხთა გენეალოგია შუა საუკუნეების ისტორიოგრაფიაში ..... .39

თავი III - თარგამოსიანების ნებროთთან ბრძოლა და ნებროთის მოკვლა …….. 83

თავი IV - აქემენიანები საქართველოში - არდამი, აზო და ალექსანდრე მაკედონელი …….. 97

ნაკვეთი II - ქართლის წარმართ მეფეთა ქრონოლოგია …… 127

თავი V - პერიოდი ფარნავაზიდან ადერკ//არდეკ//არტოკის ჩათვლით 127

თავი VI - ორმეფობა და ქართველ-სომეხთა ომი …… 171

თავი VII - ქართლის სამეფო ფარსმან II -ის ხანასა და შემდგომ ამაზასპ II -ის მეფობამდე პერიოდში 203

ნაკვეთი III - ქართლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია 233

თავი VIII - სასანიანთა დამკვიდრება ქართლში - რევი, მირიანი და მისი მემკვიდრეები 436-436 წლამდე 233

თავი IX - სპარსეთისადმი ქართლის დაქვემდებარების გაძლიერება - ქართლის მეფეები: არჩილ I , მირდატ VIII, ვახტანგ გორგასალი …… 295

თავი X - ვახტანგ გორგასლის უახლოესი მემკვიდრეები - დარჩილი, მირდატი, ბაკური და 540-562 წლების ბიზანტია-სპარსეთის ომი 349

ნაკვეთი IV- ქართლის პატრიკიოსთა ქრონოლოგია (VI-VIII სს.) 371

თავი XI - თბილისის მმართველები გურგენი და ჯუანშერი და ქართლის ბივრიტიანი პატრიკიოსები - გუარამ I, სტეფანოზ I, ადარნასე, სტეფანოზ II, გუარამ II, გუარამ ყრმაჲ 371

თავი XII - ფეროზიანები და ბაკურიანები ქართლის სათავეში 433

ქრონოლიგიური ცხრილი 463

ბიბლიოგრაფია 467

საძიებელი 479

შესავალი

ანტიკური ხანისა და ადრე შუა საუკუნეების ქართული სახელმწიფოების (აღმოსავლურ-ქართული სამეფოს იბერია//ვირკან//გურგან - ქართული წყაროების ქართლი; დასავლურ-ქართული სამეფო კოლხიდა//ლაზიკე - ქართულ-სომხური წყაროების ეგრისი// ეგერი) მმართველი დინასტიების ეთნიკური წარმომავლობის, მეფეთა რიგისა და მათი ზეობის წლების დადგენა მნიშვნელოვანია არა მარტო საქართველოს ისტორიის, არამედ სამხრეთ კავკასიასა და ზოგადად წინა აზიაში მიმდინარე ისტორიული პროცესების სწორი რეკონსტრუქციისათვის.

საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე მისი კვლევა არაერთმა ისტორიკოსმა სცადა როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. მიუხედავად ამისა, წყაროების სიმწირის, ფრაგმენტულობისა და უფრო კი მათი არასწორი ინტერპრეტაციის გამო, ამ კვლევებმა სასურველი შედეგი ვერ გამოიღო - ისტორიულ წყაროებში დაცული ერთი შეხედვით წინააღმდეგობრივი ინფორმაციების ერთიან მწყობრ სისტემაში მოქცევა ვერ მოხერხდა.

ჩვენ მიერ გამოყენებულმა ახალმა ისტორიულმა წყაროებმა, ისევე როგორც უკვე ცნობილი წყაროების ინფორმაციების მნიშვნელოვანწილად ახლებურმა ინტერპრეტაციამ, შესაძლებელი გახადა დასახული შედეგის მიღწევა - წინააღმდეგობრივი ინფორმაციების შესაბამისობაში მოყვანა და მათი ლოგიკური ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დალაგება.

ნაშრომში გამოკვლეულია სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე ჯერ კიდევ აღმოსავლურ-ქართული სამეფოს - ქართლის წარმოქმნამდე მომხდარი ისტორიული მოვლენები, რომლებმაც მეტ-ნაკლები ასახვა პოვეს ძველბერძნულ-რომაულ, ქართულ და სომხურ წერილობით წყაროებში. წარსულის სიღრმიდან მომდინარე ამ უძველესი ინფორმაციების სწორ ინტერპრეტაციას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება: 1. იმ ისტორიული პროცესების გაგებისათვის, რომლებსაც სხვადასხვა დროს ადგილი ჰქონდა რეგიონში, 2. საკუთრივ აღმოსავლურ-ქართული, ქართლის სამეფოს წარმოქმნის ხანის, მისი მმართველი დინასტიების წარმომავლობისა და მეფეთა თუ მმართველთა ქრონოლოგიური თანმიმდევრობის სწორად განსაზღვრისათვის.

ნაშრომში შესწავლილი და დადგენილია ანტიკური ხანის (ძვ. წ. 280 – ახ. წ. 562) აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოს - ქართლის მეფეების ქრონოლოგია ამ სამეფოს წარმოქმნიდან (დაახლ. ძვ. წ. 300 / 280 წლები) სამეფოს გაუქმებამდე (ფაქტობრივად- 532 წ., ფორმალურად - 562 წლიდან). განსაკუთრებით გამახვილებულია ყურადღება სასანური (ხოსროიანები) დინასტიის ქართლში დამკვიდრებასა (ახ. წ. 260-იანი წლები) და ქართლის სამეფოს ტახტზე ამ დინასტიის სამასწლიანი ზეობის პერიოდში (260-იანი - 562 წლები) მეფეთა თანმიმდევრობასა და მათი მმართველობის ქრონოლოგიაზე. დაზუსტებულია ქართლის ტახტზე ამ საგვარეულოს ერთ-ერთი ბოლო და იმავდროულად საქართველოს ანტიკური ხანის ისტორიაში ყველაზე გამორჩეული ქართლის მეფის, ვახტანგ გორგასლის ცხოვრებისა და მეფობის წლები - 470/1-531, ნაცვლად მიღებული 442-502 წლისა; გარკვეულია მისი ვაჟების ქართლის მეფის დარჩილისა და ქართულ სივრცეში პირველი ერისმთავრის - პატრიკიოსის მირდატის (მირის) სპარსეთთან ბრძოლის პერიპეტიები სპარსეთ-ბიზანტიას შორის დიდი ომიანობის (540-562), კერძოდ, 545 წლის კამპანიის პერიოდში.

შესწავლილია აგრეთვე, ქართველი სასანიანებისგან (ხოსროიანები) წარმოქმნილი სხვადასხვა განშტოების (რევიანები, ფეროზიანები, ბაკურიანები, ბივრიტიანები) მონაცვლეობა ქართლის და ეგრისის ერისმთავრის (პატრიკიოსის) ტახტზე ადრე შუა საუკუნეების საქართველოში (VI ს-ის II ნახევარიდან - VIII ს.) და მათი მმართველობის ქრონოლოგია.

პატრიკიოსთა ქრონოლოგია მოყვანილია 780-იანი წლების დასასრულამდე, როდესაც ქართველ სასანიანთა მთავარი შტოს - ბაკურიანების ბოლო წარმომადგენლის, სტეფანოზ IV-ის დაღუპვის შემდეგ, ისტორიის ასპარეზზე აშოტ ბაგრატუნის სახით გამოსული ახალი დინასტიის წარმომადგენელი ეუფლება ქართლში მმართველობას. აშოტი ხდება ქართლის მმართველთა შორის პირველი კურაპალატის ტიტულის მატარებელი.

ნაკვეთი I - ქართველთა ცხოვრების“ მეფობამდელი ისტორიები და მათი ქრონოლოგია

I

თავი

.....

ქართლში მოსული: „ქაიხოსროსგან დევნილი თურქები“, „ქალდეველთაგან გაძოსხმული ჰორები“ და „ნაბოქოდონოსორის მიერ ნაოცყევნილი ჰორიები“

თავის შინაარსი:

- ქართლის ისტორიის მეფობამდელი პერიოდის ქრონოლოგია 21
- ეთნონიმ „ხაზარის“ მნიშვნელობები „ქართველთა ცხოვრებაში“..... 26
- „ქაიხოსროსგან დევნილი თურქების“ მოსვლა საქართველოში 28
- ქალდეველთა ქართლში “მოსვლა-დაშენება”..... 32
- სკვითების სამხრეთ კავკასიაში დამკვიდრების გაბიბლიურებული ვერსიები..... 33
- „ბუნთურქები“, ანუ „მკვიდრი თურქები“ და „მოსული თურქები“.... 35

ქართლის ისტორიის მეფობამდელი პერიოდის ქრონოლოგია. ანტიკური ხანის აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოს - ქართლის (იბერია, ვირკან//გურგან) სამეფოს წარმოქმნის პერიოდისა და პირველი მეფეების მმართველობის წლების მეტ-ნაკლები სიზუსტით დადგენა პირდაპირ კავშირშია აქემენიანთა სპარსეთის წინააღმდეგ ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის დაწყებამდე კავკასიაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან. იმავდროულად, ისიც აღსანიშნავია, რომ, როგორც ისტორიულ ეპოქაზე, რომელიც წინ უსწრებდა ალექსანდრეს ლაშქრობებსა და რეგიონში ელინისტური ხანის დასაწყისს, ისევე, როგორც ქართლის სამეფოს ფუნქციონირების არცთუ ხანმოკლე (ძვ. წ. IV-III სს-ის მიჯნა - ახ. წ. VI ს.) პერიოდზე უცხოენოვანი (არაქართული) წერილობითი წყაროების ინფორმაციები სიუხვით არ გამოირჩევა. შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდის ისტორიის შესასწავლად, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა (ასურული და ურარტული ეპიგრაფიკული წარწერები, რამდენიმე ბერძნულენოვანი, ისევე როგორც სომხურენოვანი წყაროს ფრიად ფრაგმენტული ცნობები), ერთადერთ წერილობით წყაროს „ქართველთა ცხოვრება“ წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ ქართველების უძველესი მეფობამდელი პერიოდის (ალექსანდრე მაკედონელის მოსვლამდე და ფარნავაზის გამეფებამდე) ამსახველი თხზულება: „ცხოვრება ქართველთა მეფეთასა პირველითგანთა მამათა და ნათესავთა“[1], რომელიც „ქართველთა ცხოვრებაში“ შესავლის როლს ასრულებს, ფრიად მცირე ზომის (სულ 2743 სიტყვის შემცველობის) მოთხრობაა, რომელშიც რეალურად მომხდარი ისტორიული მოვლენები, ხშირ შემთხვევაში, ლეგენდარულ-მითოსური ფორმით არის გადმოცემული. ამანაც განაპირობა ის, რომ ამ ინფორმაციებს იმთავითვე არ მიექცა სათანადო ყურადღება, უფრო მეტიც, ისინი ისტორიულ რეალობას სავსებით მოკლებულად, გამოგონილად და უსარგებლოდ იქნა მიჩნეული (ჯავახიშვილი, 1977, გვ. 187).

როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, თითოეული ინფორმაცია სრულიად კონკრეტულ ისტორიულ მოვლენას ან მოვლენებს ეფუძნება და მათი მნიშვნელობა თანამედროვე ისტორიოგრაფიისთვის ფასდაუდებელია, თუმცა, ამ მოვლენების ქრონოლოგიური თანმიმდევრობა თხზულებაში ზოგ შემთხვევაში დარღვეულია (ხანდახან უფრო გვიან მომხდარ მოვლენებზე თხრობა წინ უსწრებს მის შემდეგ მომხდარ ამბებს). უფრო მეტიც, თხზულების აღნიშნულ ნაწილში თარიღები, ამ სიტყვის ჩვეული გაგებით, ფაქტობრივად, არც გვხვდება (ერთი ან ორი გამონაკლისი ზოგად სურათს ვერ ცვლის). ეს თხზულების აღნიშნულ მონაკვეთში მოთავსებული ინფორმაციებისა და ისტორიული მოთხრობების სიძველეზე მიგვითითებს - ანტიკურ პერიოდში, ისევე როგორც ადრე შუა საუკუნეებში (განსაკუთრებით VIII ს-მდე), ისტორიულ ქრონოლოგიაში ერთიანი, საყოველთაო *ერის* - ათვლის საწყისი წერტილის - არარსებობის გამო, მოვლენის დათარიღება ფრიად ჭირდა.

ასე რომ, „ქართველთა ცხოვრების“ საქართველოს ისტორიის არათუ ამ, მეფობამდელი პერიოდის ამსახველი მონაკვეთით, არამედ მთელი წარმართული ხანისადმი მიძღვნილი ნაწილით

---

[1] „ქართველთა ცხოვრების“ შესავალი მოთხრობა: „ცხოვრება ქართველთა მეფეთასა **და** პირველითგანთა მამათა და ნათესავთა“, ერთადერთი ხელნაწერის სახით არის ჩვენამდე მოღწეული, რაც მისი სათაურის დასაზუსტებლად სხვადასხვა ხელნაწერის შეპირისპირების მეთოდის გამოყენებას შეუძლებელს ხდის. მიუხედავად ამისა, სათაურის ანალიზიდან აშკარაა, რომ სათაურის არსებული ვერსია შეცდომის შემცველია - გამუქებული **„და“** როგორც შინაარსობრივად, ისე გრამატიკულად, ზედმეტია და ხელნაწერის მრავალგზის გადაწერის რომელიღაც ეტაპზე „ჩაჯდა“ ერთ-ერთ პროტოტიპში. ამიტომ, ჩვენ მცდარი „და“-ს ამოღებით, აღნიშნული სათაურის თავდაპირველ სახეს აღვადგენთ: „ცხოვრება ქართველთა მეფეთასა პირველითგანთა მამათა და ნათესავთა“.

და შემდგომი, ადრექრისტიანული ისტორიის ამსახველი მონაკვეთით (აშოტ კურაპალატის მმართველობის დაწყებამდე - VIII ს-ის ბოლო) თუ ვიმსჯელებთ, ვახუშტი ბაგრატიონისეული ჩივილი „ქართველთა ცხოვრებაში“ თარიღების სიმწირის თაობაზე[1], ისტორიკოსის მოკრძალებულ განცხადებად წარმოგვიდგება, ვინაიდან მატიანის აღნიშნულ ნაწილში თარიღები მოცემულია არათუ „იშვით“, როგორც ამას პატივცემული ისტორიკოსი აღნიშნავს, არამედ, შეიძლება ითქვას, საერთოდაც არ გვხვდება.

მართლაც, პირველი თარიღი, რომელიც „ქართველთა ცხოვრებაში“ გვეძლევა, მზის დაბნელების თარიღია, რომელიც მირიანს, ქართლის პირველ ქრისტიან მეფეს ნადირობისას თავს დაატყდა და, რომელმაც, თხზულების თანახმად, ქრისტიანობაზე მისი მოქცევა განაპირობა. მემატიანე აღნიშნავს:

> „და იყო დღესა ერთსა, ზაფხულისასა, თუესა ივლისსა ოცსა, დღესა შაბათსა“ (ქრ. ცხ., 1955, გვ. 108).

ამასაც, როგორც ვხედავთ, მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება ვუწოდოთ თარიღი, ვინაიდან მემატიანე გვისახელებს თვისა და კვირის დღეს, ხოლო წელს არ გვამცნობს. პირველი სრულყოფილი თარიღი, „ქართველთა ცხოვრების“ იმავე მონაკვეთში, წმინდა ნინოს გარდაცვალების წელია:

> „და შევედრა სული თჳსი მეუფესა ცათასა, ქართლად მოსლვითგან მისით მეთოთხმეტესა წელსა, ქრისტეს ამაღლებითგან სამას ოცდათურამეტსა წელსა, დასაბამითგანთა წელთა ხუთიათას რვაას ოცდათურამეტსა“ (ქრ. ცხ., 1955, გვ. 127).

იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ „ქართველთა ცხოვრების“ ყველაზე ადრეული ინფორმაციები ძვ. წ. VIII ს-ის დასასრულსა და ძვ. წ. VII ს-ის დასაწყისში მომხდარ მოვლენებზე მოგვითხრობენ, მაშინ გასაგები გახდება რას ვგულისხმობთ, როდესაც თარიღების სიმწირეზე ვსაუბრობთ - დაახლოებით ათ საუკუნეზე ერთი თარიღი!

თარიღების, ფაქტობრივად, არარსებობის მიუხედავად, „ქართველთა ცხოვრების“ ეს უძველესი, მეფობამდელი ისტორიის ამსახველი მონაკვეთი, სულაც არ არის ქრონოლოგიის გარეშე დატოვებული. მემატიანე იყენებს ძველთაგან ცნობილ, „სინქრონიული დათარიღების“ მეთოდს, რომელიც მნიშვნელოვან მსოფლიო ისტორიულ მოვლენებთან საკუთარ ქვეყანასა თუ რეგიონში მიმდინარე ისტორიული მოვლენების სინქრონიულობაში მოყვანას და ამ ხერხით, მათი მეტ-ნაკლები სიზუსტით დათარიღებას გულისხმობს. როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, უმრავლეს შემთხვევაში ეს მისადაგება მცდარად გაკეთდა, რის გამოც, „ქართველთა ცხორების“ აღნიშნულ მონაკვეთში დასათარიღებლად მოხმობილი, მსოფლიოში ცნობილი ისტორიული მოვლენები, ქრონოლოგიურ საყრდენებად ვერ გამოდგება (მელიქიშვილი, 1978, გვ. 58; სანაძე, 2001/ა, გვ. 8). სინქრონიული დათარიღებისას შეცდომის ძირითად მიზეზად იქცა ის, რომ „ქართველთა ცხოვრების“ ანტიკური და ადრე შუა საუკუნების ისტორიის ამსახველ მონაკვეთში მოთხრობილი ამბების სინქრონიზაცია მსოფლიოში ცნობილ ისტორიულ მოვლენებთან, მოხდა არა საკუთრივ თხზულების პრველშემქმნელის, ჯუანშერ ჯუანშერიანის მიერ (VI ს-ის II ნახევარი), არამედ ბევრად უფრო გვიან, სავარაუდოდ, ლეონტი მროველის მიერ (XI ს-ის ბოლო), რომელიც მოთხრობილი ისტორიული ამბების თავდაპირველ, ჯუანშერისეული ქრონოლოგიის ლოგიკას ვერ ჩაწვდა.

---

[1] „გარნა უწყება ჯერ არს, უკეთუ ცხორებისა ჩუენისა ქორონიკონნი არიან იშვით“ (ბაგრატიონი ვახუშტი, 1973, გვ. 5).

მსოფლიო ისტორიის რა მოვლენებს იშველიებს „ქართველთა ცხოვრების“ შესავალი მოთხრობის: „ცხოვრება ქართველთა მეფეთასა პირველითგანთა მამათა და ნათესავთა“-ს ავტორი აღმოსავლურ-ქართული სამეფოს, ქართლის უძველესი, მეფობამდელი პერიოდის დასათარიღებლად?

1. კავკასიელთა საერთო წინაპრის, თარგამოსის სამხრეთ კავკასიაში მოსვლა–განსახლებას ის შემდეგნაირად ათარიღებს:

„ოდეს აღაშენეს ბაბილონს გოდოლი და განეყვნეს მუნ ენანი“ (ქრ. ცხ., 1955, გვ. 3);

2. თარგამოსის შვილების თაობის, მათ შორის ქართველთა წინაპრების: ქართლოსის, ჰეროსის, ეგროსისა და კავკასოსის ცხოვრების პერიოდს ის ბიბლიური პერსონაჟით, ნებროთით ათარიღებს:

„ერთობით მონებდეს ნებროთს გმირსა ..... მაშინ სძლეს თარგამოსიანთა და მოსრნეს იგი გმირნი ნებროთისნი და სპანი მათნი“ (ქრ. ცხ., 1955, გვ. 6-7);

3. თარგამოსის შვილიშვილთა, ანუ თარგამოსიანთა მესამე თაობის ცხოვრების ხანას ის შემდეგნაირად ათარიღებს:

„ხოლო ვიდრე სიკუდილამდე მცხეთოსისა“ თარგამოსიანთა მოდგმას „შიში აქუნდათ ნებროთიანთა და ჰგონებდეს იგინი ნებროთიანთაგან ძებნასა სისხლისა ნებროთისსა“ (ქრ. ცხ., 1955, გვ. 10).

როგორც ვხედავთ, ეს დროის ის მონაკვეთია, როდესაც ნებროთის უშუალო მემკვიდრეებს მისი მოკვლის გამო შეიძლებოდა სისხლის აღება განეზრახათ;

4. შემდგომი „ისტორიული ამბავი“ სამხრეთ კავკასიაში მომთაბარეების შემოსევის დაწყებაზე მოგვითხრობს, რომლებსაც „ქართველთა ცხოვრება“ ერთობლივ „ხაზართა“ სახელით მოიხსენიებს:

„მას ჟამსა შინა განძლიერდეს ხაზარნი ..... და ისწავეს ხაზართა ორნივე ესე გზანი, რომელ არს ზღჳს კარი დარუბანდი და არაგჳს კარი, რომელ არს დარიალა. და ... ვერღარა წინააღუდგეს და მიერითგან იქმნეს ესე ყოველნი თარგამოსიანნი მოხარკე ხაზართა“ (ქრ. ცხ., 1955, გვ. 11-12);

5. სამხრეთ კავკასიის ისტორიის შემდგომი პერიოდის დათარიღება ხდება მიდიის მეფეებითა და პირველი აქემენიანებით, თუმცა, მიდიის მეფეებზე თხრობისას, „ქართველთა ცხოვრების“ ავტორს ბიბლიაზე დაყრდნობით, ტექსტში კიდევ ერთი, დამატებითი სინქრონიული დათარიღება შემოაქვს ეგვიპტიდან გამოქცეული მოსეს უდაბნოში მოსვლისა და ებრაელთა ტომთან ერთად, იქ ღვთიური მანანით საზრდოობის შესახებ ინფორმაციის მოთავსებით.

სპარსთა გაძლიერება–დასუსტება „ქართველთა ცხოვრებაში“ ერთგვარ ციკლურ ხასიათს ატარებს. დასუსტების პერიოდში თარგამოსიანები, მათ შორის, ქართველები, მათი ქვეშევრდომობისგან თავისუფლდებიან, და, პირიქით, მოძლიერების ხანაში სპარსელები სამხრეთ კავკასიას კვლავაც იქვემდებარებენ. სპარსთა გაძლიერების პირველი პერიოდი მეფე აფრიდონზე მოდის:

„ხოლო მიერითგან განძლიერდეს სპარსნი ... ნათესავნი ნებროთისნი“ (ქრ. ცხ., 1955, გვ. 12).

აფრიდონის მიერ გამოგზავნილი ერისთავი - არდამი ქართლში:

“ერისთავობდა... მრავალთა წელთა... ხოლო შემდგომად არდამ ერისთავისა გარდაიცვალნეს **დ** (4) ერისთავნი“ (ქრ. ცხ., 1955, გვ. 13).

მეორე პერიოდი:

„შემდგომად ამისსა მრავალთა წელიწადთა კუალად განძლიერდეს სპარსნი და განდიდნა მეფე სპარსთა, რომელსა ერქუა ქეკაპოს“ (ქრ. ცხ., 1955, გვ. 14).

ამ ხანის დასათარიღებლად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოყენებულია ინფორმაცია მოსეს შესახებ:

„შემდგომად ამისსა რაოდენთამე წელიწადთა მოვიდა ამბავი, ვითარმედ მოსე განვლო ზღუა ისრაელთა და იზრდებიან იგინი უდაბნოს მანანათა“ (ქრ. ცხ., 1955, გვ. 14).

ამის შემდეგ საქართველოში მოდის ქეკაპოსის ძე ფარაბოროტი, რომელსაც ქართველები და თარგამოსიანები ამარცხებენ. შემდეგ მოდის დისწული ქეკაპოსისა, ქაიხოსრო, იგივე მიდიის ცნობილი მეფე,- ქიახსარი//ყიაღსარი.

შემდგომ, „ქართველთა ცხოვრება“ მოგვითხრობს ქიახსარის მიერ გამოძევებული „თურქების“ (სინამდვილეში, სკვითების) მოსვლას ქართლში:

„მასვე ჟამსა მოვიდეს თურქნი ოტებულნი მისვე ქაიხოსროსგან ... სახლი ოცდა რვა“ (ქრ. ცხ., 1955, გვ. 15).

ამავე ხანას ავტორი ათარიღებს მსოფლიო ისტორიაში კარგად ცნობილი ამბით, რაც ასურეთის მეფის, ნაბუქოდონოსორის მიერ ებრაელთა ბაბილონში გადასახლებაში – ტყვეობაში მდგომარეობს:

„გამოჴდეს ამას შინა ჟამნი მრავალნი. მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყუენა იერუსალემი და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს“ (ქრ. ცხ., 1955, გვ. 15).

შემდგომ მოვლენებს „ქართველთა ცხოვრება“ ათარიღებს აქემენიანი მბრძანებლების მეფობით:

„შემდგომად ამისსა რაოდენთამე წელიწადთა აღმოვიდა ძე სპარსთა მეფისა ვაშტაშაბისი, სახელით სპანდიატ-რვალი (დარიოს I, მ. ს.) .... შემდგომად ამისსა რაოდენთამე წელიწადთა მეფე იქმნა სპარსეთს ძე სპანდიატისი, რომელი არს სახელით ბარამ, რომელი იცნობების არდაშირობით“ (ქრ. ცხ., 1955, გვ. 16).

საბოლოოდ, თხზულების ამ ნაწილის უმნიშვნელოვანესი ქრონოლოგიური საყრდენია ყველა დროის გამოჩენილი მხედართმთავარი, ალექსანდრე მაკედონელი:

„ესე ალექსანდრე გამოჩნდა ქუეყანასა საბერძნეთისასა, ქუეყანასა რომელსა ჰქჳან მაკედონი, ... დაიპყრა ალექსანდრე ყოველი ქართლი და მოსრნა ყოველნი იგი ნათესავნი აღრეულნი ქართლს მყოფნი და უცხონი იგი ნათესავნი მოსრნა .... და დაუტევნა ნათესავნი ქართლოსიანნი“. – გვამცნობს „ქართველთა ცხოვრება“ (ქრ. ცხ., 1955, გვ. 17).

ქართლის სამეფოს წარმოქმნისა და პირველი მეფის - ფარნავაზის შესახებ ის შემდეგ ქრონოლოგიურ ინფორმაციას იძლევა: ალექსანდრე მაკედონელის მიერ ქართლში გამგებლად აზოს დაყენების დროს, ქართლის მომავალი მეფე - ფარნავაზი სამი წლის იყო, მეფედ კურთხევის დროისათვის ოცდაშვიდის, მისი მეფობა კი გრძელდებოდა სამოცდახუთი წელი (ქრ. ცხ., 1955, გვ. 20, 25).

როგორც ვხედავთ, „ქართველთა ცხოვრების“ უძველესი ისტორიის ამსახველ მონაკვეთზე

თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია, რათა ვაღიაროთ, რომ თარიღების „იშვით“, უფრო ზუსტად, სრულიად არარსებობისდა მიუხედავად, ის ქრონოლოგიური მითითებების სიმწირეს სულაც არ განიცდის, რაც, ერთი შეხედვით, მისი უპრობლემოდ დათარიღების საშუალებას უნდა გვაძლევდეს. მართლაც, ვახუშტი ბაგრატიონი, რომელიც „ქართველთა ცხოვრების“ აღნიშნულ მონაკვეთში დაცული ისტორიული ინფორმაციების დათარიღებასა და ქრონოლოგიურად გამართვაში, შეიძლება ითქვას, პირველია, სწორედ ასეც მოიქცა. თავისი ქრონოლოგიური საყრდენების შესახებ ვახუშტი გვამცნობს:

> „რამეთუ ნოედამ ნებროთის გამეფებამდე საჩინო არს დაბადებისაგან, ხოლო ნებროთ რაოდენი წელი იმეფა და მოკუდა, იხილვების სხუათა მატიანეთაგან, რომელნი მოწმობენ ჩუენთა მატიანეთა. ხოლო მას ქუეითნი - კერპთაყვანისცემა და მოსეს ზღჳს გამოსვლა - დაბადებისაგანვე და სხუანი სპარსთა მეფეთა და ნაბუქოდორნოსესა და ალექსანდრე მაკედონელისათი ვპოვეთ, ხოლო ვინაჲთგან ალექსანდრეს მოსვლა ქართლსა შინა მოვიპოვეთ, ამით ადვილ გვექმნა გამეფება ფარნაოზ პირველისა მეფისა, ვინაითგან მოსვლასა ალექსანდრესასა რაოდენისა წლისა იყო და რაოდენისა გამეფდა და რაოდენ წელ მეფა, მუნავე წერილ არს“ (ბაგრატიონი ვახუშტი, 1973, გვ. 5 -6).

შესაბამისად, ვახუშტიმ ზემოჩამოთვლილი ისტორიული ამბების შემდეგი ქრონოლოგია შემოგვთავაზა:

- თარგამოსის, ანუ თოგორმას სახლის მოსვლა სამხრეთ კავკასიაში - დასაბამითგან ჩ_ღნᲩ (1758), ბერძნულსა ცღპე (2785), ქართულსა სკა (მეხუთე მოქცევის 221), რაც უდრის სკალიგერის 4481-1758=ძვ. წ. 2723; ბიზანტიური (ბერძნული) = 5508-2785= ძვ. წ. 2723; ქართული: 1) 532×5=2660, 2) 5604-2660=2944, 3) 2944-221= ძვ. წ. 2723;
- ნებროთთან თარგამოსიანელების ომი და ნებროთის დამარცხება - დასაბამითგან ჩყკთ (1829), ბერძნულსა ცყნვ (2856), ქართულსა სჟბ (მეხუთე მოქცევის 292), რაც უდრის: სკალიგერის 4481-1829=ძვ. წ. 2652; ბიზანტიური: 5508-2856=ძვ. წ. 2652; ქართული: 1) 532×5=2660, 2) 5604-2660=2944, 3) 2944-292= ძვ. წ. 2652;
- მცხეთოსის გარდაცვალების შემდეგ მის მემკვიდრეებს შორის დაწყებული შუღლი და „შვიდთა ვარსკვლავთა“ თაყვანისცემაზე გადასვლა - დასაბამითგან ცსიზ - 2267=3949-2267=1682, ქართულსა რჟᲩ - 198 (7×532) =1880-198=1682), ბერძნულსა ძყკვ 3826=5508-3826= 1682 ძვ. წ.;
- თარგამოსიანთა ლაშქრობა კავკასიის ჩრდილოეთით ხაზართა (სკვითთა) წინააღმდეგ და იქ სიმაგრის - ციხის აგება: დასაბამითგან ცტბ - 2302=3949-2302=1647, ბერძნულსა ძყდა - 3861=5508-3861=1647ძვ. წ., ქართულსა სლგ - 233 — 7×532 =1880-233=1647 ძვ. წ.;
- ხაზართა მიერ ქართლის დაპყრობა – დასაბამითგან ცტი 2310=3949-2310=1639, ქართულსა სმა - 241— 7×532 =1880-241 =1639 ძვ. წ.;
- სპარსთა მეფის აფრიდონის ერისთავის არდამის ქართლში მმართველობის ხანა და მისგან ქართველების მიერ ქვითკირის საქმის ათვისება - დასაბამითგან - ცტმბ - 2342=3949-2342=1607, ქართულსა სოგ - 273 —7×532 =1880-273 =1607 ძვ. წ. ;
- სპარსთა მეფე ქეკაპოსის (ვახუშტისთან ქექეოს) მიერ ქართლის კვლავაც დახარკვა: დასაბამითგან ცულდ - 2434=3949-2434=1515 ძვ. წ., ქართულსა ტდე - 365 = 1880 (7×532) -365=1515 ძვ. წ.;

- მოსეს მეთაურობით ებრაელთა მიერ ზღვის „განვლა“, უდაბნოში მისვლა და ქართველების მიერ სპარსთაგან თავის დახსნა - დასაბამითგან ცუნდ - 2454=3949-2454=1495 ძვ. წ., ქართულსა ტპე - 385 =1880 (7×532)-385 =1495 ძვ. წ.;
- ფარაბოროტის (ვახუშტისთან ფარაშოტის/ფარემუზის) მოსვლა საქართველოში და ქართველთა მიერ მისი დამარცხება - დასაბამითგან ცუპბ - 2482=3949-2482=1467ძვ. წ., ქართულსა უიგ - 413 =1880 (7×532)-413=1467 ძვ. წ.;
- *ქაიხოსრო//ქიახსარის* (ვახუშტის მიხედვით ხოსროს) მოსვლა საქართველოში და ქართველთა კვლავაც დამორჩილება: დასაბამითგან - ცუჟ - 2490=3949-2490= 1459 ძვ. წ., ქართულსა უკა - 421 წ. = 1880 (7×532) -421= 1459 ძვ. წ.;
- ქართველების მიერ სპარსთაგან კვლავაც თავის დახსნა და საქართველოში „თურქთა“ მოსვლა: დასაბამითგან - ცფკე - 2525=3949-2525=1424, ქართულსა უნვ - 456 =1880 (7×532)-456= 1424 ძვ. წ.;
- ნაბუქოდონოსორისაგან ლტოლვილი ურიების მოსვლა საქართველოში: დასაბამითგან - ძტიგ 3363=3949-3363=586, ქართულსა - სლ - 230 წ. = 5604-4788=816-230= 586 ძვ. წ.;
- ვაშტაშაბ (ვახუშტისთან გოსტაშაბ) სპარსთა მეფის ძის, სპანდიატ რვალის (ვახუშტისთან სპანდიერ), საქართველოში მოსვლა, მაგრამ მალევე უკუქცევა: დასაბამითგან - ძუზ - 3407=3949-3407= 542 ძვ. წ. , ბერძნულსა წშიგ - 4966=5508-4966= 542 ძვ. წ., ქართულსა - სოდ მეათე მოქცევის 274 წ. = 5604-4788(9×532)=816-274 = 542 ძვ. წ.;
- სპარსთა მეფის, სპანდიატის ძის, ბარამის (ვახუშტისთან ბაამი) შემოსვლა და ქართველთა დამორჩილება: დასაბამითგან - ძუით - 3419=3949-3419= 530 ძვ. წ., ქართულსა - სპვ - 286 მეათე მოქცევის = 5604-4788(9×532)=816-286 = 530 ძვ. წ.;
- ალექსანდრე მაკედონელის ქართლში მოსვლა და აქ გამგებლად აზოს დატოვება: დასაბამითგან - ძქკგ - 3623 = 3949-3623 = 326 ძვ. წ., ქართულსა - უჟ - 490 მეათე მოქცევის = 5604-4788(9×532)= 816-490 = 326 ძვ. წ.

ამგვარად, ვახუშტის ქრონოლოგიით, რომელიც ბიბლიას ეყრდნობა, „ქართველთა ცხოვრებაში“ ასახული საქართველოს ისტორიის უძველესი მონაკვეთი, ალექსანდრე მაკედონელისა და აზოს გამეფების ჩათვლით, მოიცავს ისტორიულ პერიოდს, ძვ. წ. 2723 წლიდან ძვ. წ. 326 წლამდე, ანუ ოცდაოთხსაუკუნოვან ისტორიას. ამ და შემდგომ თავებში (თავი I-III) ვაჩვენებთ, რამდენად შეესაბამება ასეთი ქრონოლოგია სინამდვილეს.

ეთნონიმ „ხაზარის“ მნიშვნელობები „ქართველთა ცხოვრებაში“. შეესაბამება თუ არა ზემოწარმოდგენილი ქრონოლოგია სინამდვილეს, ამის გასარკვევად აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ „ქართველთა ცხოვრების“, უფრო კი მისი უძველესი, IX ს-მდელი ინფორმაციების შემცველი მონაკვეთის თავისებურება: თხზულების სხვადასხვა ისტორიული ეპოქის ამსახველ ნაწილებში ეთნონიმი „ხაზარი“ სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება: 1. უძველეს, ალექსანდრე მაკედონელისა და ფარნავაზამდელ ხანაში, „ხაზარებად“, მომთაბარე კიმერიელები და სკვითები (ან ორივე ერთად), ანუ სამხრეთ კავკასიაში იმ უძველეს ხანაში მყოფი მომთაბარეები იწოდებიან, მირიანისა და ვახტანგ გორგასლის ეპოქაში, ანუ III-VI სს-ში - ამ სახელით ჰუნების მომთაბარულ ტომებს აღნიშნავენ (კვლავაც შესაბამისი ეპოქის მომთაბარეები), VIII-X ს-ის ამბების ამსახველ ისტორიულ მოთხრობებში კი - საკუთრივ ხაზარებს.

მართლაც, „ქართველთა ცხოვრების“ შესავალ მოთხრობასთან - „ცხოვრება ქართველთა მეფეთასა პირველითგანთა მამათა და ნათესავთა“, ზედაპირული ნაცნობობაც კი საკმარისია იმის აღსანიშნავად, რომ ხაზართა ლაშქრობის ქვეშ მისი ავტორი VII-X სს-ში კავკასიის ჩრდილოეთით არსებულ ხაზართა ნახევრად მომთაბარულ სახელმწიფოს და ხაზართა თურქულენოვან ტომებს არ გულისხმობს (თუმცა აღნიშნული ეთნონიმის გამოყენება, ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოჭრილი მომთაბარეების აღსანიშნავად, ამ შესავალი მოთხრობის დამწერ მემატიანეს, ხაზართა ჩრდილოეთ კავკასიაში ბატონობის პერიოდის მოღვაწედ ამხელს). ის გვიყვება ნომადურ ტომებზე, რომლებიც სამხრეთ კავკასიას, დარუბანდის და დარიალის გადმოსასვლელებით ალექსანდრე მაკედონელზე, სპარსთა აქემენიან მბრძანებლებსა და მიდიის მეფეებზე უწინ შემოესივნენ. ასეთები კი, იმ შორეულ წარსულში, მხოლოდ მომთაბარე კიმერიელები და, მათ შემდეგ მალევე შემოჭრილი, მომთაბარე სკვითები იყვნენ. ეთნონიმი *ხაზარი* „ქართველთა ცხოვრების“ ამ მონაკვეთში რომ სკვითების აღსანიშნავად იხმარება, პირველად, რამდენადაც ჩვენ შევძელით თვალი გაგვედევნებინა, სულხან ბარათოვმა შენიშნა (Баратов, 1865, გვ. 10-11). ეს თვალსაზრისი, შემდგომში, დ. ბაქრაძემაც გაიზიარა (ბაქრაძე, 1889, გვ. 45). არქეოლოგების მიერ, ელინისტური ეპოქის დადგომამდე, კიმერიელებისა და სკვითების სამხრეთ კავკასიაში მკვიდრობის დასაბუთების შემდგომ, ამ საკითხმა აქტუალურობა კვლავ შეიძინა. „ქართველთა ცხოვრების“ აღნიშნულ მონაკვეთში, ეთნონიმ ხაზარის სკვითების მნიშვნელობით ხმარება თავიანთ ნაშრომებში დაასაბუთეს ვ. კოვალევსკაიამ (Ковалевская, 1975, გვ. 62), გ. ანჩაბაძემ (ანჩაბაძე, 1993, გვ. 40-49), გ. ალასანიამ (ალასანია, 2008, გვ. 5-15). ამ საკითხს ჩვენც არაერთი ნაშრომი მივუძღვენით, სადაც „ქართველთა ცხოვრების“, „მოქცევაჲ ქართლისას“, ჰეროდოტეს, სტრაბონის, ანტიკური ხანისა და ადრე შუა საუკუნეების სხვა, მათ შორის, სომხურენოვანი წყაროების ინფორმაციების შეპირისპირებით ვაჩვენეთ, რომ ძველი ქართველი მემატიანეები ეთნონიმ „ხაზარს“ და „თურქს“ „ქართველთა ცხოვრების“ შესავალ მოთხრობაში და „ხონს“ (ჰუნი) „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს „ქრონიკად“ წოდებულ მონაკვეთში იყენებენ, როგორც სკვითების, ისე კიმერიელების, ანუ, ზოგადად, იმხანად სამხრეთ კავკასიასა და წინა აზიაში მომთაბარე ნომადების აღსანიშნავად (სანაძე , 2000/ბ, გვ. 30-48; სანაძე, 2001/ა, გვ . 23-53).

კიმერიელების, და შემდგომ, სკვითების შემოსევები სამხრეთ კავკასიაში და მათ მიერ რეგიონის ათვისება ძვ. წ. VIII ს-ის 30-იანი წლებიდან იწყება. თუმცა, მომთაბარე მასის შემოსვლა-დასახლება ტალღურ ხასიათს ატარებდა და დროში გაწელილი პროცესი იყო, რაც აქ აქემენიანთა მიერ მათი მმართველობის დამყარება-განმტკიცებამდე (ძვ. წ. 460-450-იანი წლები) მიმდინარეობდა. წინა აზიასა და სამხრეთ კავკასიაში ჯერ კიმერიული, შემდეგ კი სკვითური ტომების განსახლება და აქ მათი სახელმწიფოებრივი გაერთიანებების არსებობა დასტურდება როგორც ასურულ-ბაბილონური და ურარტული (Иванчик, 1996), ისე ბერძნული წერილობითი წყაროების მონაცემებით (ჰეროდოტე, 1975, I, 103-106, 201-216, IV 11 და სხვ.; სტრაბონი, 1957, XI/8/4, 5, 6 და სხვ.). წერილობითი წყაროების მონაცემებს, წერილობით ძეგლებშივე დადასტურებული, საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე დღემდე მოღწეული ისტორიული ტოპონიმიკაც ეხმიანება. მაგალითად - თრიალეთი. თ/ტრელთა კიმერიული ტომიდან მომდინარე ეს ტოპონიმი დღესაც ეწოდება საქართველოში სამხრეთ კავკასიონის ერთ განტოტებას და მთელ რეგიონსაც, სამხრეთ საქართველოში; საკაშენე, იგივე ბერძნული წყაროების საკასენე - წარმოდგება საკების სკვითური ტომის სახელიდან - ანტიკურ ხანასა და ადრე შუა საუკუნეებში ასე ეწოდებოდა ვრცელ რეგიონს, სევანის ტბასა და მდ. მტკვარს შორის.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ძვ. წ. VII-V სს-ში სკვითების სამხრეთ კავკასიაში ყოფნა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დასტურდება მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მონაპოვრით (Ковалевская, 1975, გვ. 62-73; Ковалевская, 1985, გვ. 45-49; Abramishvili, 1995, გვ. 23-39; ახვლედიანი, 1997, გვ. 111-119; ახვლედიანი, 1999, გვ. 3-100; ფირცხალავა, 1975, გვ. 3-156).

სწორედ ამ მონაცემების და, აგრეთვე, წერილობითი წყაროების გათვალისწინებით არის, რომ ისტორიკოსთა ერთი ნაწილი ჰეროდოტესეული „სკვითური სამეფოს“ ლოკალიზებას აღმოსავლეთ საქართველოს, ალბანეთისა და ჩრდილო აღმოსავლეთ სომხეთის ტერიტორიაზე ახდენს (ИкА., 1961, გვ.102).

ასე რომ, „ქართველთა ცხოვრების“ შესავლად წამძღვარებული მოთხრობის - „ცხოვრება ქართველთა მეფეთასა პირველითგანთა მამათა და ნათესავთა“ მიერ მოწოდებული ინფორმაცია - *ხაზართა,* ანუ მომთაბარე კიმერიულ-სკვითური ტომების მიერ კავკასიელთა დამორჩილების შესახებ, სადაც, ეს უკანასკნელნი, თარგამოსიანი რვა ძმის სახით არიან წარმოდგენილი (თუმცა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, თარგამოსი და მისი მოდგმა თხზულებაში, იმავდროულად, მიდიის მეფის, ქიახსარისგან დევნილი სკვითური, მომთაბარული მასივის პროტოტიპიცაა), დაახლოებით ამავე პერიოდით - ძვ. წ. VIII - ძვ. წ. VII სს-ის მიჯნით უნდა დათარიღდეს.

ამას, „ქართველთა ცხოვრებაში“, მოსდევს ძვ. წ. VII-VI სს-ის ამბების თხრობა, რომლებიც მიდიის მეფეების, ლეგენდარული აფრიდონის, ქეიქაუსის („ქართველთა ცხოვრების“ ქეკაპოსის), ფარაბოროტის, ჰეროდოტესთან ფრაორტას (გარდაიცვალა დაახლ. 653/52 წწ.) და ქაიხოსროს (ქიახსარის) სამხრეთ კავკასიაში ლაშქრობებს უკავშირდება (ძვ. წ. 625-585 წწ.). 653/2 წ. ფარაბოროტი სასტიკად მარცხდება სკვითებთან ბრძოლაში და იღუპება კიდეც. სწორედ ამ ამბავს გადმოგვცემს „ქართველთა ცხოვრება“, როდესაც გვიყვება ფარაბოროტის ლაშქრობას „სომეხთა და ქართველთა და თარგამოსიანთა ზედა“:

> „ხოლო შეკრბეს ესე ყოველნი თარგამოსიანნი, მიეგებნეს და დაეწყვნეს ადარბადაგანს და იოტეს ფარაბოროტ და მოსრნეს სპა მისი“ (ქრ. ცხ., 1955, გვ. 14).

„ქაიხოსროსგან დევნილი თურქების“ მოსვლა საქართველოში. „ქართველთა ცხოვრება“ გვამცნობს, რომ სპარსეთის მეფე ქაიხოსრომ გამოდევნა თურქები, რომლებიც საქართველოში მოვიდნენ და დასახლდნენ:

> „მასვე ჟამსა მოვიდეს თურქნი, ოტებულნი მისვე ქაიხოსროსგან, გამოვლეს ზღუა გურგანისი აღმოყვეს მტკუარსა და მოვიდეს მცხეთას - სახლი ოცდა რვა და ეზრახნეს მამასახლისსა მცხეთისასა, აღუთქუეს შეწევნა სპარსთა ზედა. ხოლო მამასახლისმან მცხეთელმან აუწყა ყოველთა ქართველთა. ინებეს დამეგობრება მათ თურქთა, რამეთუ აქუნდა შიში სპარსთა და შემწეობისათჳს დაიმეგობრნეს თურქნი იგი გამოსხმულნი და განიყვანეს ყოველთა ქალაქთა შინა. ხოლო უმრავლესნი მათგანნი მოვიდეს და პოვეს ადგილი ერთი მცხეთას დასავლით კერძო, კლდეთა შორის გამოკუეთილი, ღრმა, და მოითხოვეს ადგილი ერთი იგი მცხეთელთა მამასახლისისაგან. მისცა და აღაშენეს იგი, მოზღუდეს მტკიცედ და ეწოდა მას ადგილსა სარკინე“ (ქრ. ცხ., 1955, გვ. 15).

ვინ არიან ეს საქართველოში მოსული „თურქები“ და ვინაა საკუთრივ ქაიხოსრო? **ქაიხოსრო**, იგივე მიდიის მეფე, **ქიახსარი**//ყიაყსარია, რომელმაც, როგორც ცნობილია, ძვ. წ. 590 წ. ურარტუს სამეფო გაანადგურა. ქაიხოსრო//ქიახსარი (ყიაყსარი) წარმატებით ებრძოდა მიდიის ჩრდილო-დასავლეთ საზღვრებთან მომთაბარე სკვითებსაც. ჰეროდოტესთან დაცულია ცნობა ქიახსარის მიერ სკვითების განადგურების შესახებ, რის შემდეგაც, ამ უკანასკნელებმა, ჯერ დასავლეთით, ლიდიის სამეფოს შეაფარეს თავი, ხოლო შემდგომ, ქიახსარის მიერ ლიდიის მეფისთვის მათი გადმოცემის მოთხოვნისა და ლიდიის წინააღმდეგ არაერთგზის ლაშქრობის გამო (ჰეროდოტე, 1975. I, 73-74), იქიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ დაიძრნენ და სამხრეთ